



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სოციალური მომსახურების სააგენტო
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030444929871516

04-90/ო

02 / მარტი / 2016 წ.

**„სოციალური რეაბილიტაცია და ბავშვზე ზრუნვის პროგრამის ფარგლებში
საქონელი/მომსახურების სახელმწიფო შესყიდვების მიზნით, სატენდერო
კომისიის შექმნის შესახებ“ სააგენტოს დირექტორის 2014 წლის 11 ნოემბრის
04-348/ო ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

„კობა სონდულაშვილის – სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის მოადგილის მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნის შესახებ“ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის 2016 წლის 16 თებერვლის №04-113/კ ბრძანების გათვალისწინებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 ივნისის N190/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების“ მე-4 მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. „სოციალური რეაბილიტაცია და ბავშვზე ზრუნვის პროგრამის ფარგლებში საქონელი/მომსახურების სახელმწიფო შესყიდვების მიზნით, სატენდერო კომისიის შექმნის შესახებ“ სააგენტოს დირექტორის 2014 წლის 11 ნოემბრის №04-348/ო ბრძანებაში (შემდგომში - „ბრძანება“) შევიდეს ცვლილება და ბრძანების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. სოციალური რეაბილიტაცია და ბავშვზე ზრუნვის პროგრამის ფარგლებში საქონელი/მომსახურების სახელმწიფო შესყიდვების მიზნით, შეიქმნას სატენდერო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) ზაზა სოფრომაძე – სააგენტოს დირექტორი, კომისიის თავმჯდომარე;

ბ) თამაზ მოდებაძე – სააგენტოს დირექტორის მოადგილე, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

გ) თენგიზ აბაზაძე – სააგენტოს დირექტორის მოადგილე, კომისიის წევრი;

დ) კობა სონდულაშვილი – სააგენტოს დირექტორის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი, კომისიის წევრი;

ე) ავთანდილ ვასაძე – სააგენტოს იურიდიული დეპარტამენტის უფროსი, კომისიის წევრი;

ვ) მარი წერეთელი – სააგენტოს მეურვეობა-მზრუნველობისა და სოციალური პროგრამების დეპარტამენტის უფროსი, კომისიის წევრი;

ზ) ლელა მამულაშვილი – სააგენტოს ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, კომისიის წევრი.“

2. სააგენტოს ადმინისტრაციულმა დეპარტამენტმა (გ. გოგოლაძე) უზრუნველყოს ბრძანების გაგზავნა კომისიის და აპარატის წევრებისათვის.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს
დირექტორი, საქართველოს შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
მინისტრის მოადგილე

